



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

**ოქმი N17**

ქ. მარნეული

07.10.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ტარიელ მამედოვი, დავით ხუციშვილი, ნიკოლოზ მუმლაძე, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, არსენ ახვერდიანი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, ივანე ხალულაშვილი.

არ ესწრებოდა:

ბესიკ გუჯეჯიანი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ფანგანი, ილხამ გასანოვი, რამინ ალახვერდიევი, თორნიკე გოგლიძე, გეიდარ მუსაევი, აშრაფ ტუკანოვი, როვმან ისკანდაროვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკმამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაფიკ ჯაფაროვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე **ადილ ალიევი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **მამუკა შუბითიძე**, რუსთავის ინოვაციების ჰაბის ხელმძღვანელი **რევაზ ბარბაქაძე**. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი **დიმიტრი აბრამიშვილი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **გელა შუბითიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი ია ესებუა, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი მარინე ბახტურიძე. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები: გაბილ ხალილოვი, ნიკა კუსიანი, თამაზ ბოჭოიძე, მამუკა გიგანი, არმაზი მუმლაძე. სტაჟიორი: მედეა გიორგაძე.

ასევე ესწრებოდნენ:

რადიო მარნეულისა და მარნეული TV-ს წარმომადგენლები.

### განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 29 სექტემბრის N32-3221272291 წერილის განხილვის შესახებ.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „ახალგაზრდობის მხარდაჭერის“ (05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „ახალგაზრდობის მხარდაჭერა“ (05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარებისა და წარმატებული სტუდენტების წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“.

5. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

### განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 05 ოქტომბრის N32-3221278163 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N33. 07.10.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 29 სექტემბრის N32-3221272291 წერილით შემოსული საქართველოს საპატრიარქოს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის მმართველის 2021 წლის 27 სექტემბრის N78 წერილი და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული სუბსიდიის ფარგლებში, მოახდინოს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის 100 000 ლარით დაფინანსება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N58. 07.10.2021 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბესიკ გუჯეჯიანი არ იმყოფებოდა სხდომაზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწემ ადილ ალიევმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 20 სექტემბრის N32-3221263139 წერილით შემოსული დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „ახალგაზრდობის მხარდაჭერის“ (05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N34. 07.10.2021 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბესიკ გუჯეჯიანი არ იმყოფებოდა სხდომაზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწემ ადილ ალიევმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 20 სექტემბრის N32-3221263139 წერილით შემოსული დადგენილების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „ახალგაზრდობის მხარდაჭერა“ (05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარებისა და წარმატებული სტუდენტების წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N35. 07.10.2021 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N59. 07.10.2021 წ).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეჩვიდმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:  
ამირან გიორგაძე